ხელშეკრულება №48/გ

ქ.მცხეთა 21 მაისი 2019წ.

ერთის მხრივ **ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმომადგენელი მისი დირექტორის ნოდარ კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ **შპს მიქსორის** დირექტორის ილია შიხაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") შევთანხმდით და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

მუხლი 1 . ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგანია: **ბეტონი** (CPV 44114000)

მუხლი 3. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **1250,00 (ერთი ათას ორას ორმოცდაათი ლარი და 00თ.)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. მისაწოდებელი საქონლის საერთო სახელშეკრულებო ღირებულება დამოკიდებულია „შემსყიდველის" მიერ მოთხოვნილი და „მიმწოდებლის" მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულებაზე.

3.3. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" იწარმოება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება თანხის გადარიცხვით მიმწოდებლის საანგარიშსწორებო ანგარიშზე;

3.5. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

4.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს" საქონელი გადასცეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადებით და მიღება-ჩაბარების აქტით.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულებაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით გამოწვეული ზარალი და მიუღებელი შემოსავალი სრული ოდენობით,საქართველოს მოწმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით,ხოლო ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორით.წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა) თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

8.3. „შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლები.

მუხლი 10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10.2.მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოებანი, არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10.3. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ივნისამდე.

11.2. ხელშეკრულება შევსებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლიარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მუხლი 12. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის	შპს მიქსორი
კეთილმოწყობის სამსახური	მის: თბილისი, გრიგოლ ხანძთელის ქ.#1
მის: მცხეთა, აღმაშენებლის ქ.#136	ს/კ 205249827
ტელ: 2 51 24 14	ა/ა GE54TB1178636050100002
ს/კ 436254704	ბანკი: თი ბი სი ბანკი
სახელმწიფო ხაზინა	კოდი: TBCBGE22
	ტელ:
ნოდარ კაპანაძე ----------	ილია შიხაშვილი ----------

ქ.მცხეთა

21 მაისი 2019წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურსა და შპს მიქსორს შორის 2019 წლის 21 მაისს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული N48/გ ხელშეკრულებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის

კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი: ნ.კაპანაძე

ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის

კეთილმოწყობის სამსახურის

საწყობის გამგე: რ.იმერლიშვილი

The improvements service of Mtskheta Municipality

Digitally signed by The improvements service of Mtskheta Municipality
Date: 2019.05.29 17:31:01 +04'00'